ოქმი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 29 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

4. ანგარიშის მოსმენა „ხობის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელს გაწეული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

8. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, მ. ქარდავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა, კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2015 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, ხოლო დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 2 (კ. ლატარია, ე. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. მიქაბერიძე, მ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

2. „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ“

აზრი გამოთქვეს: ე. ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე დაინტერესდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეთანხმებული იყო თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის სამსახურებთან?

ა. ვარდია - განმარტა, რომ შეთანხმებული იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და საპატრულო პოლიციასთან. მისი განცხადებით, სამსახურის ინიციატივა იყო ქალაქ ხობის ქუჩებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დარეგულირება და გამომდინარე აქედან საჭიროდ ჩაითვალა 9 აპრილისა და ბერიას ქუჩებზე ცალმხრივი მოძრაობის დაწესება.

ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ხობში არსებული „თიბისი“ ბანკის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე იდგა ამკრძალავი ნიშანი „დგომა აკრძალულია“, იმ ადგილზე ტაქსები დღემდე დგანან, მართალია ეს ამკრძალავი ნიშანი ვიღაცამ თვითნებურად აიღო, მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა მიეღოთ დადგენილება, ამკრძალავი ნიშნის აღების თაობაზე და მას ოფიციალური სახე მისცემოდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება წინა გამომსვლელს (ე. წურწუმია), ოფიციალური სახე მიეცეს და მიღებულ იქნეს დადგენილება „დგომა აკრძალულია“ ამკრძალავი ნიშნის გაუქმების თაობაზე. იქვე განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ ტრანსპორტის უკონტროლო მოძრაობასთან დაკავშირებით, „მანქანები ისეთი სისწრაფით მოძრაობენ ამ ტერიტორიაზე, რაც სრულიად დაუშვებელია“ განაცხადა მან. ასევე ისაუბრა სპორტის ქუჩაზე გადატვირთულ მოძრაობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე ფუნქციონირებს ხობის N2 საჯარო და კერძო სკოლა „არეა“, ამ ქუჩაზე მოძრაობენ მძიმე წონიანი მანქანები, სადაც უამრავ ბავშვს უხდება გადაადგილება. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით ადმინისტრაციულ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და სპორტის ქუჩაზე შესაბამისი მარეგულირებელი საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის (ლ. ქავთარაძე) წინადადება განხილულ იქნეს კომისიაში გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად და წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი წინადადება არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით ქ. ხობში ბერიას ქუჩაზე, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ავტოსადგომი და მოძრაობა ხშირად გადატვირთულია და მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ხობში 9 აპრილისა და ბერიას ქუჩებზე შემოღებულ იქნეს ცალმხრივი მოძრაობა. კერძოდ ცოტნე დადიანის ქუჩიდან აიკრძალოს ბერიას ქუჩის მიმართულებით შეხვევა და ამ ქუჩების გადაკვეთაზე განთავსდეს ამკრძალავი ნიშანი „მოძრაობა აკრძალულია“. ასევე 9 აპრილისა და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე განთავსდეს ამკრძალავი ნიშანი „მოძრაობა აკრძალულია“ და 9 აპრილისა და სტალინის ქუჩების გადაკვეთიდან ცოტნე დადიანის ქუჩის მიმართულებით აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა. წარმოდგენილ პროექტს თან ერთვის საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან და საპატრულო პოლიციიდან მიღებული თანხმობის წერილები

საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, მ. ქარდავა, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამკიცების თაობაზე“ და განმარტა, რომ 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 30 დეკემბერს N46 დადგენილებით და ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაგეგმილი იყო 6424,2 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 9850,3 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 9646,7 ათასი ლარი და იგი შესრულებულია 97,9 %-ით. გამომსვლელის განცხადებით, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში კომისიის მიერ შეფასდა

დამაკმაყოფილებლად, ამასთან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

კენჭი ეყარა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის წინადადებას ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამაკმაყოფილებლად შეფასების თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, ნ. შუშანია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, მ. ლემონჯარია, კ. მიქაბერიძე)

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

(განკარგულება N19 ოქმს თან ერთვის)

4. ანგარიშის მოსმენა „ხობის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელს გაწეული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელს გაწეული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 90 გამარტივებული ელექტრონული ტენდერისთვის მომზადებულ იქნა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელთაგან შედგა 60 ტენდერი. სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ სულ მომზადდა 264 ხელშეკრულების პროექტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დამტკიცებულ ვადებში განხორციელდა შესყიდვების მიმდინარეობაზე სათანადო ანგარიშის წარდგენა. სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გამგებლის ბრძანებებისა და საკრებულოს დადგენილების საფუძველზე ხორციელდებოდა ცვლილებები.

საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ ანგარიშს შეაფასებდა დამაკმაყოფილებლად. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 19

დადებითი – 3 (მ. ქარდავა, ლ. ქავთარაძე, ბ. ქირია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, ნ. შუშანია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, ი. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წელს გაწეული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ შესაბამისად გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალური განწერა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველ კვარტალურად განაწილებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ

წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, ნ. შუშანია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, ი. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად გამგეობამ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადმოიბარა მასზე საკუთრებაში და სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება. რომელიც წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადების საფუძველზე გადაეცემა ადგილობრივი თვითთმართველობის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს. გამომსვლელის განცხადებით გამგეობის მიერ წარმოდგენილი

პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, ლ. ქავთარაძე, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, ი. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა ჩამოსაწერი ქონების ნუსხაში როგორ მოხვდა ორ ნოუთბუქი, რომელიც 2011 წელს არის შეძენილი და განაცხადა, რომ ისე როგორ გაფუჭდა ორივე ნოუთბუქი, რომ მისი არცერთი დეტალის გამოყენება არ შეუძლებოდეს.

ა. ვარდია - გამომსვლელის განცხადებით, არსებობს აუდიტის დასკვნა მის ვარგისიანობასთან დაკავშირებით, რომელზეც თვითონ აუდიტია პასუხისმგებელი.

ე. ჯობავა - გამომსვლელის განცხადებით, სადაც აუდიტის დასკვნა არსებობს ჩამოსაწერ ქონებაზე, უნდა დაეთანხმონ, მაგრამ მიმართა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების

საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა), კომისია უნდა დაინტერესდეს არსებობს თუ არა ყველა ჩამოსაწერ ქონებაზე აუდიტის დასკვნები და აუცილებლობის შემთხვევაში ვიზუალურადაც უნდა იქნეს დათვალიერებული კომისიის წევრების მიერ ჩამოსაწერი ქონება. იქვე მიმართა გამგეობის შესაბამისი სამსახურის უფროსს (ა. ვარდია), რადგანაც გაჩნდა შეკითხვები, სხდომის დამთავრებამდე წარმოედგინა აუდიტის დასკვნა ჩამოსაწერ ქონებასთან დაკავშირებით.

დებატების დასრულების შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის N12 განკარგულებით მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა ტრაქტორის „ბულდოზერი-დზ-42“ -ის მარკის ჩამოწერაზე. დამატებითი შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ხობის პროფესიული სწავლების ცენტრიდან მიღებული ძირითადი აქტივები ექსპლოატაციისთვის უვარგისია და სამსახურის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მათი ბალანსიდან მოხსნა, რამაც გამოიწვია განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების დანართის სახით წარმოდგენა. სამსახურის განმარტებით თითოეულზე არსებობს აუდიტორული დასკვნები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე, ქ. ოდიშარია, ი. ნადარაია, ლ. ლოლუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N22 ოქმს თან ერთვის)

8. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარისთის გამოყოფილი საწვავის სახეობა, კერძოდ: 80 ლიტრი ბენზინის საწვავი იცვლება 80 ლიტრის დიზელის საწვავის სახით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე, ი. ნადარაია, ლ. ქავთარაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N23 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი ქეთევან ოდიშარია საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა განცხადებით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე. კომისიის მიერ განცხადების შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმად კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა ქეთევან ოდიშარია პირადი განცხადების საფუძველზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე, ი. ნადარაია, ბ. ქირია, ტ. ალექსანდრია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N24 ოქმს თან ერთვის)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ ლაშა ცატავას არჩევის შემდეგ, ლ. ცატავა საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა განცხადებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე. კომისიის მიერ შემოსული განცხადების შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა ლ. ცატავა პირადი განცხადების საფუძველზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. სერგია, თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N25 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. ნუგზარ შუშანია
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. თემურ გულუა
12. თენგიზ აბაკელია
13. ლაშა ცატავა
14. ირაკლი ნადარაია
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. მალხაზ ყურუა
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. როლანდ სერგია
24. ფრიდონ შონია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ფილიპია
27. კახა ლატარია
28. ლეონიდე ლოლუა
29. ქეთევან ოდიშარია